

2023

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	16
4. ახალი და განახლებული მსს ფასს სტანდარტი	17
5. ძირითადი საშუალებები	18
6. მაგარაგები.....	19
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	19
10. ამონაგები	19
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	20
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	20
13. მოგების გადასახადი	20
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	20
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	945,621	520,512
სულ გრძელვადიანი აქტივები		945,621	520,512
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	161,968	270,080
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,496,968	2,040,868
საგადასახადო აქტივი, წმინდა		37,371	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	441,664	202,704
სულ მიმდინარე აქტივები		2,137,971	2,513,652
სულ აქტივები		3,083,592	3,034,164
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		48,600	48,600
გაუნაწილებელი მოგება		2,683,407	2,497,233
სულ კაპიტალი		2,732,007	2,545,833
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		14,652	13,907
გადასახდელი პროცენტები		-	6,964
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,652	20,871
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	336,933	454,738
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		-	12,722
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		336,933	467,460
სულ ვალდებულებები		351,585	488,331
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,083,592	3,034,164

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 1 ოქტომბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი


ფინანსური მენეჯერი


7-21 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები	5	945,621	520,512
ძირითადი საშუალებები		945,621	520,512
სულ გრძელვადიანი აქტივები			
მიმდინარე აქტივები	6	161,968	270,080
მარაგები	7	1,496,968	2,040,868
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		37,371	-
საგადასახადო აქტივი, წმინდა	8	441,664	202,704
ფული და ფულის ეკვივალენტები		2,137,971	2,513,652
სულ მიმდინარე აქტივები		3,083,592	3,034,164
სულ აქტივები			
კაპიტალი		48,600	48,600
საწესდებო კაპიტალი		2,683,407	2,497,233
გაუნაწილებელი მოგება		2,732,007	2,545,833
სულ კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები		14,652	13,907
მიღებული სესხები		-	6,964
გადასახდელი პროცენტები		14,652	20,871
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	9	336,933	454,738
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-	12,722
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		336,933	467,460
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		351,585	488,331
სულ ვალდებულებები		3,083,592	3,034,164
სულ კაპიტალი და ვალდებულებები			

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 1 ოქტომბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
 სახელით:


 გენერალური დირექტორი


 ფინანსური მენეჯერი

7-21 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური
 ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	10	3,988,441	2,386,666
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(1,187,312)	(935,795)
საერთო მოგება		2,801,129	1,450,871
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,555,561)	(1,025,780)
საოპერაციო მოგება		1,245,568	425,091
ფინანსური ხარჯი		(745)	(10,977)
ზარალი/(მოგება) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა		(1,967)	(772)
არასაოპერაციო შემოსავალი		29,728	6,237
არასაოპერაციო ხარჯი		(5,526)	(16)
მოგება დაბეგვრამდე		1,267,058	419,563
მოგების გადასახადი	13	(141,199)	(91,950)
წმინდა მოგება		1,125,859	327,613
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,125,859	327,613

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 1 ოქტომბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

7-21 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“


მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	10	3,988,441	2,386,666
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(1,187,312)	(935,795)
საერთო მოგება		2,801,129	1,450,871
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,555,561)	(1,025,780)
საოპერაციო მოგება		1,245,568	425,091
ფინანსური ხარჯი		(745)	(10,977)
ზარალი/(მოგება) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა		(1,967)	(772)
არასაოპერაციო შემოსავალი		29,728	6,237
არასაოპერაციო ხარჯი		(5,526)	(16)
მოგება დაბეგვრამდე		1,267,058	419,563
მოგების გადასახადი	13	(141,199)	(91,950)
წმინდა მოგება		1,125,859	327,613
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,125,859	327,613

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 1 ოქტომბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:



გენერალური დირექტორი





ფინანსური მენეჯერი

7-21 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021		48,600	2,690,673	2,739,273
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	327,613	327,613
გამოცხადებული დივიდენდები	13	-	(521,053)	(521,053)
31 დეკემბერი 2022		48,600	2,497,233	2,545,833
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	1,125,859	1,125,859
გამოცხადებული დივიდენდები	13	-	(939,685)	(939,685)
31 დეკემბერი 2023		48,600	2,683,407	2,732,007

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 1 ოქტომბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი


7-21 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021		48,600	2,690,673	2,739,273
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	327,613	327,613
გამოცხადებული დივიდენდები	13	-	(521,053)	(521,053)
31 დეკემბერი 2022		48,600	2,497,233	2,545,833
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	1,125,859	1,125,859
გამოცხადებული დივიდენდები	13	-	(939,685)	(939,685)
31 დეკემბერი 2023		48,600	2,683,407	2,732,007

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 1 ოქტომბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
 სახელით:


 გენერალური დირექტორი


 ფინანსური მენეჯერი

7-21 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური
 ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	2023	2022
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება / (გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	1,580,408	670,334
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება / (გადინება) საინვესტიციო საქმიანობიდან	(439,817)	(6,100)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება / (გადინება) საფინანსო საქმიანობიდან	(899,664)	(495,000)
ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	240,927	169,234
საკუთრო სხვაობით გამოწვეული მოგება / (ზარალი) ფული და ფულის ექვივალენტებიდან	(1,967)	(759)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	202,704	34,229
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	441,664	202,704

გამომწვეულია დასამტკიცებლად 2024 წლის 1 ოქტომბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

7-21 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	2023	2022
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება /(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან	1,580,408	670,334
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება /(გადინება) საინვესტიციო საქმიანობიდან	(439,817)	(6,100)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება /(გადინება) საფინანსო საქმიანობიდან	(899,664)	(495,000)
ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	240,927	169,234
საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება / (ზარალი) ფული და ფულის ექვივალენტებიდან	(1,967)	(759)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	202,704	34,229
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	441,664	202,704

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 1 ოქტომბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი ბერიძე

გენერალური დირექტორი



[Signature]

ფინანსური მენეჯერი

7-21 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2016 წლის 9 ივნისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 405153300. კომპანიის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელი პირია გიორგი წილოსანი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბიტუმის ემულსიის წარმოება, რეალიზაცია, ტრანსპორტირება. ბიტუმის ემულსიის საწარმო მდებარეობს გარდაბნის რაიონ, სოფელ მარტყოფში. კომპანია ძირითადი საქმიანობის გარდა, ასევე გასწევს ფრეზირების მომსახურებას.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
დავით ჭედია (01010007367)	100%	100%

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. იურიდიული მისამართია: საქართველო, გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2023 საანგარიშგებო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მიიღოს და დანერგოს ყველაზე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია მიმდინარე შენიშვნაში (მე-2 განმარტებითი შენიშვნა). ხოლო მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ლარში (ლ / GEL) და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება (გაგრძელება)

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

საანგარიშგებო ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო / ლარი	2.9753	2.8844

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6279	2.9156
1 ევრო / ლარი	2.8416	3.0792

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება (ზარალის)“ სახით.

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს წრფივი მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

მატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების

წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგები ჩამოიწერება „ფიფო“ (FIFO) მეთოდით.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებას და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში

იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იმიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით“ შეფასებული კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ექვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების

ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება. თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით.

გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტის სესხებს მიესადაგება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი. წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადახდილი ავანსები (გაგრძელება)

ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან. შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც და ქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები
- წლიური ფასიანი შევებულება და ბიულეტენის ანაზღაურება
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახდო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15% მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახდო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებებს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კომპანია ახდენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ასახავს მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო არამაკორექტირებელ მოვლენებს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ამჟღავნებს ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადებთან, მათ ნარჩენ ღირებულებებთან, ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან და გადასახადებთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება, როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალეზადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხდება კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები, რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

4. ახალი და განახლებული მსს ფასს სტანდარტი

2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ ცვლილებები და ინტერპრეტაციები არ მომხდარა ანგარიშგებისა საერთაშორისო სტანდარტებში მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს).

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	მანქანა- დანადგარე ბი	ქარხანა- დანადგარე ბი	საწარმოო საშუალებე ბი	ოფისის აღჭურვილ ობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპო რტი საშუალებე ბი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწ ყობა	სულ
ისტორიული ღირებულება									
1 იანვარი 2022	241,549	470,716	320,347	243,711	6,213	4,544	52,515	60,558	1,400,153
შემოსვლა	-	-	-	3,608	2,661	-	-	-	6,269
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	241,549	470,716	320,347	247,319	8,874	4,544	52,515	60,558	1,406,422
შემოსვლა	-	328,558	53,810	4,757	-	901	125,650	-	513,676
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	241,549	799,274	374,157	252,076	8,874	5,445	178,165	60,558	1,920,098
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი 2022	-	(283,078)	(260,347)	(167,086)	(3,668)	(4,450)	(15,904)	(49,320)	(783,853)
ცვეთის ხარჯი	-	(77,987)	-	(8,582)	(658)	(83)	(8,503)	(6,244)	(102,057)
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	(361,065)	(260,347)	(175,668)	(4,326)	(4,533)	(24,407)	(55,564)	(885,910)
ცვეთის ხარჯი	-	(66,911)	(56)	(8,424)	(1,155)	(117)	(10,610)	(1,294)	(88,567)
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(427,976)	(260,403)	(184,092)	(5,481)	(4,650)	(35,017)	(56,858)	(974,477)
საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2022	241,549	109,651	60,000	71,651	4,548	11	28,108	4,994	520,512
31 დეკემბერი 2023	241,549	371,298	113,754	67,984	3,393	795	143,148	3,700	945,621

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

6. მარაგები

მარაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნედლეული და მასალები	141,452	244,552
მზა პროდუქცია	20,516	25,528
სულ მარაგები	161,968	270,080

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნა	1,494,807	2,039,309
გაცემული ავანსები	2,161	1,559
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,496,968	2,040,868

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4,093	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	437,517	202,704
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	54	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	441,664	202,704

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	310,763	383,519
მიღებული ავანსები	3,220	3,919
გადასახდელი ხელფასები	22,950	67,300
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	336,933	454,738

10. ამონაგები

ამონაგები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 3,988,441 ლარს, ხოლო 2022 წლისთვის 2,386,666.

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 1,187,312 ლარს, ხოლო 2022 წლისთვის 935,795.

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ხელფასის ხარჯი	686,921	510,115
ტრანსპორტის მომსახურების ხარჯები	30,986	1,950
მივლინების ხარჯი	6,720	159,643
საწვავის ხარჯი	126,645	17,223
დაზღვევის ხარჯი	20,997	170,083
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	151,871	102,889
მომსახურების ხარჯი	351,620	5,220
ცვეთა და ამორტიზაცია	88,566	51,682
საგადასახადო ხარჯი	13,489	-
კომუნალური ხარჯები	52,696	6,975
საკანცელარიო ხარჯები	311	-
სხვა ხარჯი	24,739	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,555,561	1,025,780

13. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

2023 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 939,685 ლარის დივიდენდი, რაც დაიბეგრა მოგების გადასახადით 46,984 ლარით. 2022 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 521,053 ლარის დივიდენდი, რაც დაიბეგრა მოგების გადასახადით 26,053 ლარით.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან 2023 და 2022 წლების განმავლობაში განხორციელებული ბრუნვა და 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის ნაშთები იხილეთ ქვემოთ.

შპს „ჯორჯიან ინდასტრი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ამონაგები	ურთიერთობის ტიპი	2023	2022
შპს ჯიარჯი	შპს ინერტული მასალების მშობელი კომპანია	401,130	247,019
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ურთიერთობის ტიპი	2023	2022
ალექსანდრე ჭედია	დირექტორი	45,918	-
სავაჭრო მოთხოვნები	ურთიერთობის ტიპი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შპს ჯიარჯი	შპს ინერტული მასალების მშობელი კომპანია	7,371	931,037
შპს ინერტული მასალები	საერთო დირექტორი	2,000	2,000
სავაჭრო ვალდებულებები	ურთიერთობის ტიპი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ალექსანდრე ჭედია	დირექტორი	22,500	-

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 1 ოქტომბერს.

მნიშვნელოვანი მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, რომელიც საჭიროებს გასაჯაროებას: 2024 წლის 19 აგვისტოს შეიცვალა კომპანიის მფლობელი:

კომპანიის მფლობელი	19 აგვისტო 2024	31 დეკემბერი 2023
დავით ჭედია (01010007367)	-	100%
არჩილ ტულუში (01024010795)	100%	-